



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მესტუმრე

მესტუმრე, „სტუმართ მოურავი“ (საბა), მოციქულთა, სტუმართა და მეძღვენეთა დახვედრამილების თადარიგის დამჭერი მოხელე ძვ. საქართველოში. მ-ს სახელმწიფოსაგან ჯამაგირი და განსაზღვრული სარგო ეძლეოდა, სტუმრებისგანაც საჩუქრის სახით მნიშვნელოვან გასამრჯელოს იღებდა. მ-თა უფროსს *მესტუმრეთუხუცესი* ეწოდებოდა. მ. მანდატურთუხუცესის „ქვეშეთი“ მოხელე იყო ერთიანი ფეოდალური მონარქიის დროს, გვიანდ. ფეოდალურ პერიოდში (როსტომის მეფობის დროს), მ-ისა და მესტუმრეთუხუცესის მნიშვნელობით შემოვიდა მემანდარი და მემანდარბაში, რ-ებიც *ეშიკალასბაშ* ექვემდებარებოდნენ. ტერმ. „მესტუმრე“ „მემანდარის“ შემოსვლის შემდეგაც იხმარებოდა.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, „მოამბე“, 1942; ტ. 13; მ ე ს ხ ი ა შ., საშინაო პოლიტიკა და სამოხელეო წყობა XII ს. საქართველოში, თბ., 1979; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003; ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, [ტ.] 1, თბ., 1952; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ვ., ქართული სამართლის ისტორია, თბ., 1984, (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 7).

ი. სურგულაძე
